

როგორ დავეხმაროთ ბავშვს?

რა არის წიგნიერება?

წიგნიერება არის მრავალფეროვანი ტექსტების ნაკითხვის, შექმნის, განხილვისა და გადამუშავების უნარი. წიგნიერება ეფექტური კომუნიკაციისა და სამყაროს გაცნობიერების ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

რატომ არის წიგნიერება მნიშვნელოვანი?

წიგნიერება ის ფუნდამენტური უნარია, რომელიც განაპირობებს ბავშვის წარმატებას სკოლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. წიგნიერება საშუალებას გვაძლევს, გავაცნობიეროთ მრავალფეროვანი წერილობითი, ვიზუალური და ზეპირი ტექსტები, რომლებიც ყველგან გვხვდება: წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში, ვიდეოფილმებსა და სატელევიზიო გადაცემებში, საგზაო ნიშნებსა და რუკებზე, სარეკლამო დაფებსა და აფიშებზე...

ბავშვის წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის გზები

კვლევა გვიჩვენებს, რომ ბავშვის მოტივაცია და მიღწევები უმჯობესდება, როცა მშობლები და აღმზრდელები აქტიურად მონაწილეობენ მისი წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

არსებობს ბევრი ყოველდღიური აქტივობა, რომლებიც მნიშვნელოვნად წახალისებს ბავშვის წიგნიერებას. აი, რამდენიმე რჩევა პატარების დასახმარებლად:

- დააფასეთ და წახალისეთ ბავშვის „წიგნიერი“ მცდელობები. შეაქეთ, როცა კითხულობს;
- აუხსენით, თუ როგორ ვიყენებთ წიგნიერებას და როგორ გვეხმარება კითხვის უნარი ყოველდღიურ ყოფაში;
- წახალისეთ ბავშვი, რათა იკითხოს მრავალფეროვანი ტექსტები: გაზეთები, წიგნები, კომიქსები, ვებსაიტები, ელექტრონული წერილები, აბრები და აფიშები, ცხრილები და სქემები, ინსტრუქციები და რეცეპტები;
- წახალისეთ ბავშვი, რათა წეროს სხვადასხვა დანიშნულების ტექსტები როგორც ხელნაწერის სახით, ისე ელექტრონულად: მოსაწვევები, მადლობის ბარათები, საყიდლების სიები, სატელეფონო მესიჯები, ელექტრონული სლაიდები და სხვა;
- მოუყევით ბავშვს იმის შესახებ, რაც ბოლო დროს წაიკითხეთ, რაც თქვენთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. ხშირად გაუზიარეთ შთაბეჭდილებები;
- ესაუბრეთ საყვარელი მწერლების, კინორეჟისორების, მხატვარ-ილუსტრატორების შესახებ. ჰკითხეთ, რატომ მოსწონს ესა თუ ის მათგანი;
- ისაუბრეთ ბავშვთან ახალი, საინტერესო, უჩვეულო სიტყვებისა და გამონათქვამების შესახებ. სცადეთ შენიშნოთ ეს სიტყვები და ფრაზები ტექსტებსა და ლექსიკონებში;
- ეთამაშეთ ისეთი თამაშები, რომლებშიც ბავშვს ასო-ბგერებთან, სიტყვებთან და ტექსტებთან ურთიერთობა მოუწევს;
- ისარგებლეთ თემში არსებული რესურსებით: სკოლისა და უბნის ბიბლიოთეკებით, მკითხველთა კლუბით, ვებსაიტებით;
- წაუკითხეთ ბავშვს საინტერესო, ასაკისათვის შესაფერისი წიგნები.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საპირველწიფი დაწესებულების განვითარების პროექტი